I-5/2 № 13081

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 269 პარასკევი, 1 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 269

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

შაბათს, 2 აპრილს, მერვე ც. ს. პ. პოლკოვნიკ

დ. გ. ყარანგოზოვის

გარდაცვალების ორმოცის დღის თავზე მის სულის მოსახსენებლად, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აცნობებენ განსვენებულის **მეუღლე და შვილები.** პანაშვიდი შუა დღის 12½ საათზე დაიწყება. (1—541—1)

განცხადება

ბახმაროს მომხმარებელთა საზოგადოება „ჯანმრთელობის" გამგეობა ამით აცხადებს საყურადღებოდ მსურველთათვის, რომ 14-ს აპრილს, ამა 1911 წლისა, დილით 12 საათზე, ქალაქ ოზურგეთში, ეპლთა კანტორაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ამა 1911 წლის სეზონისათვის აგარაკ ბახმაროში «ჯანმრთელობის» სავაჭრო სადგომები: 1) სამიკიტნო დუქანი პარმენ ასათიანის და ნაცვალაძისაგან შეძენილი. 2) საყასბო დუქანი. 3) საბაკალეო დუქანი 4) პურის საცხობი ფურნე ბალარა სახლით. 5) სასადილო სახლი (რესტორანი). 6) ჭკლებანი და 7) გაკიჯვარის ქუჩაზე საბაკალეინო დუქნით ვაჭრობის ნება. პირობები ამათ შესახებ მსურველებს შეუძლიანთ გაიგონ ქალაქ ოზურგეთში, ეპლთა კანტორაში, ყოველ დღე 8 აპრილიდან ამა წლისა.

თავმჯდ. გამგეობისა დ. ცეცხლაძე. (3—1205—1)

ტფ. სახაზინო თეატრი

სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

საზოგადოების ქონების გასამდიდრებლად 1 აპრილს ჰმართავს

კონცერტსა და ოპერას.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: მისის კოლმერი, ქ-ნნი: მჭერბაჩევისა, ხაჩინჯუსი და ბ-ნი ნ. დ. ნიკოლაევი. ოპერაში («რიგოლეტო» 2 და 4 მოქმ. და „სოფლის პატიოსნება", სრულად) მონაწილეობენ: ქ-ნნი ვეხელოვზოროვისა, მინკევიჩისა, ნიკოლაევისა, პლაჟენსკისა, ოსტომანოვისა. ბ-ნნი: კოვალენკო, ბროდში, შიმკევი და თეატრის ხორო და ორკესტრი გადიდებულის შემადგენლობით ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით. ბილეთები არავის დაეგზავნება. ვინც აღნიშნულ საღამოს დასწრებას თანაუგრძნობს, გთხოვთ ბილეთები სახაზინო თეატრის კასაში შეიძინონ თავის დროზე უწყებულ საათებში. (3—1177—3)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—15)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—20)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაია ი. რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხოდოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-Hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—432)

გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო".

ხელის მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდად წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა"-ს („Новая Рѣчь") წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. **ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (8—4)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოსა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტი დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

1442

არტისტიულ საზოგადოების თეატრი

შაბათს, 2 აპრილს,

გაიმართება

გასამართლება არციბაშევის გმირებისა.

ბრალმდებლად გამოვა **კ. ა. კოზლოვი.** დამცველად—**ა. ი. მალხაზოვი.** სასამართლოს თავმჯდომარედ—ნაფიცი ვექილი **მ. ა. კლანკი.** ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები მუდამ დღე იყიდება. მოსწავლეებსა და მცირე-წლოვანთ არ შეუშვებენ. ნაფიცი მსაჯულნი და სასამართლოს წევრნი პროგრამებში იქნებიან ჩამოთვლილნი. **დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.** (2—1208—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად-მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ხოდოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა, 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—28)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—75)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ელექტრონისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ გვარ ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე მგზავნებათ საგანგებო შეხვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—35)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. ისმაილოვისა ქ. N 2.

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

გლიბაზადის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—29)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. [illegible] ქ. № 9. (ღ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ღ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. ყაზბეგის ქ. ტელეფონი N 816.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—86)

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—33)

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—347

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—180—105

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (ღ)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—9)

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა სიას კითხულობენ, მათ შორის იუსტიციის მინისტრის მიერ გამოგზავნილ ვიატკის გუბერნიის ბრალმდებლის განაჩენს სათბიროს დეპუტატ კროპოტოვის თაობაზე, რომელიც სასჯელთა დებულების მე-362 მუხლით ყოფილა პასუხის გებაში მიცემული.

სათემო ერობის შემომღებ კანონ პროექტზე კამათი გრძელდება. მე 58—64 მუხლები, რომლებიც სათემო ერობის კრებას ეხება და მე-65 მუხლიც კომისიის რედაქციით მიიღეს. მე-66 მუხლი თხოულობს, რომ ზოგიერთ საკითხს გადასაწყვეტად ხმების ორი მესამედი კმაროდეს.

ეფრემოვი და კრასოვი უმარჯვენი პროგრესისტებისა და კადეტების სახელით თხოულობენ, სათემო თანამდებობის პირთა ჯამაგირების დანიშვნის დროს ამ მუხლით არ იხელმძღვანელონ.

მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი აცხადებს: მთავრობა მომხრეა, ჯამაგირების დანიშვნა ხმების ორის მესამედით სწყდებოდეს.

ბერეზოვსკი მეორე, ფომინი და ტიმოშკინი შესწორების წინააღმდეგნი არიან.

ეს მუხლი პროგრესისტებისა და კადეტების შესწორებით მიიღეს.

მე-58 მუხლი, რომელიც სათემო ერობის დავთრების წარმოებას ეხება, უკამათოდ მიიღეს.

მე-69 მუხლი განმარტავს, რომ სათემო ერობის სამმართველო თავმჯდომარისა და სათემო ერობის კრების მიერ სამის წლის ვადით არჩეულ ორის წევრისაგან შესდგება. თუმცა სამაზრო ერობის კრების დასტურით სამმართველოს წევრთა მომატებაც შეიძლება.

108 ხმით 100 წინააღმდეგ ეს მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მე-70 მუხლით სათემო ერობის სამმართველოს თავმჯდომარესა და ხმოსნებს მამაკაცთაგან ირჩევენ, რომელნიც 25-ს წლისანი შესრულებულან და საარჩევნო უფლებაცა აქვთ.

გოლოშნიკოვს სოც.-დემოკრატების სახელით შესწორება შეაქვს, რომ თავმჯდომარე და ხმოსნები ორთავ სქესიდან აირჩიონ ხოლმე, რომელნიც 20 წლისანი მაინც იქნებიან, თუნდაც ქონებრივი ცენზი არა ჰქონდეთ.

კომსონი პროგრესისტების შესწორებას ემხრობა, რათა ხსენებულ თანამდებობის პირნი, თუნდაც ქონებრივი ცენზი არა ჰქონდეთ, არჩეულ იქმნენ თუ კრების ორ მესამედ ხმას მიიღებენ.

კროპოტოვი შრომის ჯგუფის სახელით ხსენებულ თანამდებობაზე ორთავე სქესის პირთა არჩევას თხოულობს, ვისაც კი საარჩევნო უფლება აქვს.

ფომინი თანამდებობაზე ქალების არჩევის წინააღმდეგია.

როდიჩევი კადეტების შესწორებას ესარჩლება, რათა თავმჯდომარესა და ხმოსნებს ორთავე სქესის პირთაგან არჩევდნენ, აღნიშნავს, ქალები რუსეთის იმპერიაში სამეფო ტახტზედაც მსხდარან.

ამ მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

სტეპანოვი რიგის გარეშე სათათბიროს ყურადღებას იმ გარემოებაზე მიაქცევს, რომ ფინანსთა სამინისტროში მოსამსახურეთა და მუშათა პროფესიულ ავადმყოფობის შედეგის დროს დაჯილდოვების თაობაზე ორის თვის წინედ მუშათა საკითხის კომისიის მიერ მიღებული კანონ-პროექტი, დღევანდლამდე არ მოუხსენებიათ. ამის ბრალი კომისიას კი არა, მომხსენებელს ბარონ ტიზენგაუზენს ედება, რომელიც მუშათა კომისიის თავმჯდომარეცაა.

გარეშეთა დაუსწრებლად 75 ათასი მანეთი გარეშე საქმეთა სამინისტროს საიდუმლო საქმეებისათვის გადასდეს.

მორიგ საკითხად ჯარში გასაყვანთა რაოდენობის გამადიდებელი კანონ-პროექტია.

ხვოშჩინსკის მოხსენებით ჯარისა, ფლოტისა, საზღვაო სადარაჯოდ და სხვა რამეზე საჭიროა სულ 455,000 კაცი.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე აღნიშნავს, რომ 1911 წელს ჯარში გასაყვანად საჭიროა 455 ათასი კაცი.

კენჭის ყრით ეს კანონ-პროექტი სწრაფ განსახილველად სცნეს და სამჯერ წაკითხვის შემდეგ კომისიის რედაქციით მიიღეს.

საღამოს სხდომაზე კაპუსტინი თავმჯდომარეობს.

თარაზლოვი. ნუ თუ სტუდენტობას მართლა თავისუფლების გულისათვის მიაწოდებენ მთავრობასთან საბრძოლველად, რომელსაც ვითომც თავისუფლება წარუტაცნია?.. აკადემისტები სწორე გზას ადგიან მეცნიერებისა და უნივერსიტეტის დაცვის საქმეში.

მომხსენებელი ტენიშევი მილიუკოვის ნათქვამს ეხება. მილიუკოვის ნათქვამიდან უფრო სამართლიან დასკვნას ვერ გამოვიყვანდით: შეკითხვა მივიღოთ, რათა მთავრობამ თავისი ავტორიტეტური განმარტება მოგვცეს. მთავრობის ამ მოვალეობისაგან განთავისუფლება სათათბიროს დიდ სისუსტედ ჩაეთვლება (მარცხნივ ტაშის ცემა).

მარკოვი მეორე. მილიუკოვის სიტყვა ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: უმცირესი ნაწილი—გაფიცვის გამოსარჩლება, უდიდესი—ტალახში მოსვრა იმათი, ვინც გაფიცვას ებრძვის... მილიუკოვი ამართლებს სკოლაში არსებულ გარყვნილებას, სისაძაგლესა, ტყუილ სტიპენდიებს, არეულობას, ყუმბარების შენახვას და სასამართლოში ცრუ ფიცის მიღებას. ყველა ამას მხოლოდ იმისათვის ამართლებს, რადგანაც ასეთ საქმეებს მის გულთან ახლო მდგომი, მემარცხენე სტუდენტები, სჩადიოდნენ. მილიუკოვი მონაწილეობას იღებდა პარიზის კრებაზე, სადაც მეფის მკვლელობაზე თათბირობდნენ, იყო ამერიკაში, სადაც რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ქადაგებდა... პროფესორი მილიუკოვი ბევრჯერ გატყიპეს (მარცხნივ ხმაურობა).. მე ასეთს ქცევას თანაგრძნობით არ ვეკიდები, მაგრამ არ მაკვირვებს, როდესაც ვკითხულობ თუ დამშეული სტუდენტობა სადამდე მიჰყავდა ხოლმე. ვურჩევ, თუ არა ჰნებავს, რომ კვლავ განმეორდეს ასეთი საქმე, სტუდენტობას ჩამოეცალოს (ხმაურობა, მარცხნივ პროტესტი).

როდიჩევი ადგილიდან: ეს თავის მოჰრაა!..

მარკოვი განაგრძობს: როდიჩევო, თქვენ მთვრალი ბრძანდებით! (ხმაურობა, მარცხნივ ყვირილი, ხმები: გაეთრიე!).

თავმჯდომარე მარკოვს წესიერებას მოაგონებს და სიტყვის ნებას აღარ აძლევს.

მომხსენებლის დასკვნა, კენჭის ყრით, შემდეგ სხდომამდე გადასდეს.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** ტფ. ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიამ წერილები დაუგზავნა კომისიის ქალაქებისა, მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა, კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წარმომადგენლებს, რედაქციებს და სხვ. გამგეობა სთხოვს, აღდგომის კვირას, 14 აპრილს, დაესწრონ ტფილისში საუნივერსიტეტო კომისიის კრებას, რომელიც ზომებს შეიმუშავებს, რომ უნივერსიტეტი დროზე იქმნეს დაარსებული.

✦ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა დადგენილება ქალაქის საბჭოსი იმის შესახებ, რომ პეტერბურგში საუწყებათაშორისო თათბირს დაესწროს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, რათა ამ უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს ტფილისში უნივერსიტეტის ჩქარა გახსნის საკითხს.

✦ 1910 წლამდე **წვრილ კრედიტის ამხანაგობები** გახსნილა: ბათუმის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიაში—50, ყარსის ოლქში და ერევნის გუბერნიაში—35, ბაქოს გუბერნიაში—15. ამხანაგობების გახსნა განზრახულია ერევნის გუბერნიაში 5 ალაგას: ულუხანლუში, შიხმაზმუდში, ქინაბანში, ბაშა-აბრანში, ბაშკადიკლიარში; ბაქოს გუბერნიაში—კირსში. ტფილისის გუბერნიის შესახებ ცნობებს შემდეგ მოვათავსებთ.

✦ შარშან, 13 სექტემბერს, კახეთის ქუჩაზე ბებუთით **მოჰკლეს სედრაგ ხეჩოს ძე სარქისოვი.** ამ მკვლელობაში ბრალს სდებდნენ გარეგინ მელიქოვს, რომელიც დღემდე იმალებოდა. მელიქოვი ამ დღეებში გორის მაზრაში შეიპყრეს და ტფილისში ჩამოიყვანეს.

✦ 30 მარტს, დილის $11^1/_2$ საათზე, **ტრამვაის ვაგონის ქვეშ მოჰყვა** ტფილისის მოქალაქე ოჰანეს ერამოვი, რომელიც საშინლად დასახიჩრდა რამდენსამე ადგილას. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 30 მარტს **თავი მოიწამლა** პავლე ნიკოლოზის ძე მოროზოვმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიშია.

✦ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია **კანონ-პროექტი** იმის შესახებ, რომ ბათომის სასარგებლოდ ნავთსადგურში საფუთო გადასახადი დაწესდეს.

✦ პოლიციამ დააპატიმრა სომხურ გაზეთის „მშაკის“ გუშინწინდელი ნომრები.

✦ **უკანასკნელ დღეებში მტკვარმა შესამჩნევად მოიმატა.** გუშინ წყალმა ვორონცოვის ხიდთან შაფრანოვის წისქვილი გადააბრუნა.

✦ ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ ნება დართო ბოდბის მონასტრის წინამძღვარს **საქართველოს საექსარხოსოში ფული შეაგროვოს** ტაძრის გასაფართოვებლად და მონასტერთან საავადმყოფოს დასაარსებლად, ნიშნად რომანოვების 300 წლის მეფობისა.

✦ **ტფ. ტრამვაის დირექტორმა საგანგებო ბრძანება გამოსცა,** რომელშიაც აღნიშნულია, რომ ტრამვაის კანდუქტორები საზოგადოდ უზრდელად ეპყრობიან მგზავრებსაო. დასასრულ დირექტორი წინადადებას აძლევს კანტროლიორებს, წარმომიდგინეთ ხოლმე სია ასეთ კანდუქტორებისა, რათა უკანასკნელნი დავსაჯოო.

✦ კავკასიაში მართლმადიდებელ **ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების** საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე აირჩია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი, დეკანოზი მ. პაშკევიჩი და ექსარხოსის კანცელარიის მმართველი დ. ა. დავითაშვილი. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, რა თანხა არის საჭირო, რომ საზოგადოების ყველა სკოლების მასწავლებელთ ჯამაგირები მოემატოთ 1910 წ. 21 ივნისის კანონის თანხმად (მასწავლებელთ 360 მან. წელიწადში, სამღვთო-სჯულის მასწავლებელთ—60 მან.)

✦ ხვალ **ნამესტნიკის საბჭოს** კრება მოხდება.

✦ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა საქალაქო დაწესებულებასა და განყოფილებას, პირველ მაისამდე წარუდგინონ მას სავარაუდო **ხარჯთ-აღრიცხვა** მომავალ 1912 წლისა, რათა შესაძლებელი გახდეს გამგეობამ თავის დროზე შეადგინოს **ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა.**

✦ 29 მარტს პოლიციამ შეიპყრო **ქურდების ბრბო** (7 კაცი), რომელიც განსაკუთრებით მისდევდა დიდის მაღაზიების გაქურდვას.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ **ოლგას საბებიო ინსტიტუტი დაათვალიერა,** სადაც აღმოჩენილ იქმნა დიდი უსუფთაობა. შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმი.

✦ **ფრინველთა მომშენებელი ტფილისის საზოგადოება** განჯაში ფრინველების მოძრავ გამოფენას მართავს. გამოფენა გასტანს 14-დან 17 აპრილამდე.

✦ მიწად-მოქმედების და მიწად-მოწყობის სამინისტრომ წელს **223,223 მან. გადასდო კავკასიის სახოფლო მეურნეობის საჭიროებისთვისა.** აქედან 27,500 მან. ბამბის მოყვანისათვის არის გადადებული.

✦ საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობის თანახმად, უწმ. **სინოდმა პენსია დაუნიშნა:** დუშეთის მღვდლის ქვრივს დარია მამისაშვილს (წელიწადში 150 მან.) და ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზის ქვრივს ეკატერინე შვანგირიძეს—180 მან.

✦ დღეს ტფ. ოლქის სასამართლო გაარჩევს გაზეთ **„ნოვაია რეჩის“ რედაქტორ** პ. ა. გოთუას საქმეს. მას დიდუბის მთავარ-დიაკონი სლადკოპევცევი უჩივის, გაზეთით ცილი დამწამაო.

✦ როგორც გუშინ ქალაქის გამგეობის მიერ პეტერბურგიდან მიღებულ დეპეშიდან სჩანს, ჯერ კიდევ გამოურკვეველია, როდის იქნება მოწვეული საუწყებათაშორისო **თათბირი ახალ უნივერსიტეტების გახსნის** თაობაზე. თუ თათბირი მაისამდე გადიდება, მაშინ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი ტფილისში ახლავ დაბრუნდება, თუ არა, მაშინ თათბირის დაწყობას პეტერბურგშივე მოუცდის.

✦ რედაქციამ მიიღო **სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“-ს** მორიგი (7) ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები ვ. რცხილაძისა, მღვ. ალ. ჯალიაშვილისა, ს. კახელიძისა და სხვა.

✦ ხვალ, 2 აპრილს, არტისტიულ თეატრში გაიმართება **არციბაშევის გმირების გასამართლება;** ბრალმდებლად გამოდის ბ-ნი კაზლოვი; იცავს ბ-ნი მალხაზოვი; თავმჯდომარეობს ვექილი კლიანკი. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. მოწაფეებს ამ გასამართლებაზე დასწრება არ შეუძლიანთ.

✦ **ტფილ. სათავად-აზნაურო მერვე კლასის მასწავლებელთა კომისიამ** დაადგინა, რომ 8 კლასის ის მოწაფენი, ვისაც ორები უწერია ჯერ კომისიებში გამოსცადონ და ეგზამენებზე ისე დაუშვან.

✦ ამ დღეებში ტფილისში უგზოდ დაიკარგა აქსენია ივანოვის ასული.

✦ 30 მარტს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფილისში შეიპყრეს 19 უპასპორტო.

✦ ტფილისის ქართველ მომღერალთა გუნდი დიდს მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც რაიმე დახმარება აღმოუჩინეს კონცერტების გამართვის დროს ქ. გორში 26 მარტს: ქალბატონ ნინო გოლიჯოვას და ბ-ნ კონსტანტინე თოდუროვს და დაბა ხაშურში 27 მარტს: ქალბ. ელენე სულიაშვილს და ბბ. ინჟინერ იდინსკის, ვლადიმერ ჩიქოვანს და გრიგოლ ძნელაძეს. გუნდის მანდობილობით ლოტბარი მ. კავსაძე, გამგეობის თავმჯდომარე ნ. ი. ჭრელაშვილი, გამგეობის წევრნი: ნ. დ. კავსაძე, ნ. გ. ჩაგუნავა და ი. კარაყანიძე.

✦ როგორც გუშინ წინ ვწერდით, მტკვრისაგან მოტაცებულმა ტივის ხემ ჩალეწა შაფრანოვის წისქვილის ბორბალი, ბორბალი შეაკეთეს, მაგრამ გუშინ წყალმა შესწია ბორბალი წისქვილისაკენ, და ღერძმა წისქვილი შეამტვრია. გამოიძახეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ წისქვილი მაინც ნახევრად ჩაიძირა. ზარალი დიდია.

შეცდომის გასწორება. გუშინწინდელს წერილში **„უცნაური სტატისტიკა“** შემდეგი შეცდომა აღმოჩნდა. დაბეჭდილია: თუ რვა წლის განმავლობაში სომეხთა რიცხვი ერთი ორად ათასიდან 125 და კიდევ მეტადაც იმატა და 63 ათასამდინ ავიდა. უნდა ყოფილიყო: „თუ სომეხთა რიცხვმა ერთი ორად იმატა და 63 ათასიდან 125 ათასამდინ ავიდა“.

ქუთაისი

✦ **ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. ჩიქოვანმა** 28 მარტს გიორგი ზდანოვიჩს პეტერბურგს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ქალაქის გამგეობის მონდობილობით გთხოვთ შეგვატყობინოთ,—საბოლოოდ გადაწყვეტილია თუ არა შავი ზღვის ნაპირად რკინის-გზის გაყვანის საქმე ზუგდიდიდან? მოსახერხებელია თუ არა ქუთაისისკენ მოვმართოთ ეს გზა და რა უნდა ვიღონოთ ამისთვის? როდის უნდა მოხდეს გზის მიმართულების გამოკვლევა?“ (კოლხიდა).

✦ როგორც გავიგეთ, **თავ. უჩა დადიანის და სხვათა საქმე,** რომელთაც თავ. დადეშქელიანის მოკვლა ჰბრალდებათ კავკავის საოლქო სასამართლოში გაირჩევა.

✦ **სალათას ძილი.** ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი **აბესალომ ჭიჭინაძე** ტვინის ანთებით გამხდარა ავად. ძმას ოდესიდან წამოუყვანია, მაგრამ გზაში ხასანიურტის სადგურზე 24 მარტს, დილის 8 საათზე გადაცვლილა. კუბოში ჩასვენების შემდეგ, გამგზავრებულა რაჭის მაზრის ს. ხოტევში. დამარხვის დღეს შეუმჩნევიათ, რომ ჭიჭინაძე ჩვეულებრივ მიცვალებულს არ ჰგავდა. მოწვეულმა ექიმმა გადაწყვეტით ვერაფერი სთქვა, დამარხვა კი აღუკრძალა. საკვირველია ის, რომ მეხუთე კვირაა ასეთ მდგომარეობაშია, მიუხედავად ამისა, არც ფერი ეცვლება, არ სუნთქავს და არც სუნი დასცემია. მახლობლებს ქუთათურ ექიმებისთვის მიუმართავთ.

ჭიათურა

✦ წვრილ-მრეწველთა მცირე ნაწილმა, რომელნიც გაფიცულნი იყვნენ „ექსპორტერების“ წინააღმდეგ, თავი ვერ შეიკავეს და ქვის ზიდვას შეუდგნენ წინანდელ ფასებში. (კოლხიდა).

✦ შავი-ქვის გაზიდვამ კვლავ იკლო. მიზეზად გემებზე გადასაზიდ „ფრახტების“ მომატებას ასახელებენ. (კ—და)

✦ მრეწველთა საავადმყოფო, თვით ჭიათურა და მის ახლო—მახლო მცხოვრებნი ძალიან შევიწროებულნი არიან უექიმობით. თუმცა ბ. მუხაძეს, რომელიც დოსტაქარია მრეწველთა საავადმყოფოში, ვერავინ დაემდურება და იშვიათის ენერგიით უძღვება თავის საქმეს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ დოსტაქარი რას გასწვდება ამდენ ხალხს, ბ. ჯაფარიძე კარგა ხანია ავად არის. (კ—და)

✦ ვლადიმერ ლომაძის მკვლელობის საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი თვით მთავრობამაც. წინედ ხმა დადიოდა მკვლელი კილაძეაო, მაგრამ ახლა-და-ახლა, როგორც ამბობენ, უფრო მოსალოდნელია სხვა გამოდგეს. (კ—და).

✦ ს. წირქვალში ჭიათურის მახლობლად ღამე თავს დაესხნენ ვაჭარ მიროტაძეს; წაურთმევიათ 300 მანეთი და ფართლეულობა, პოლიციამ ხალხის დახმარებით აღმოაჩინა ავაზაკები, რომელნიც კიდეც გამოტეხილან (კოლხიდა).

✦ ს. პერევისაში ნ. წერეთლის სახლში ღამით შეპარულან ქურდები და რაც—კი მოუხელებიათ, სულ გაუტანიათ. ჯერ-ჯერობით ვერავინ დაიპატიმრეს. საზოგადოდ ქურდობა—ყაჩაღობამ ამ ბოლო დროს შესამჩნევად იმატა. (კ—და).

✦ ჭიათურის ახლო-მახლო სოფლებში ჯერ კიდევ თოვლი ძევს, ხვნა—თესვას, როგორც სოფლელები ამბობენ, 16 აპრილის შემდეგ თუ შეუდგებიან, რაიც დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს. (კ—და).

ბაქო

✦ ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ ამომრჩევლებს არჩევნებზე დასწრებისას ეკრძალებათ შეიარაღებული მისვლა. ქალაქის უფროსმა მოახდინა ახალი განკარგულება, რომ არჩევნების დღეს ქალაქის საბჭოს წინ გაძლიერებულ იქმნას პოლიციელები მშვიდობიანობის დასაცავად.

✦ 28 მარტს ნიკოლოზ ზაიცევმა, ოცის წლისამ, რევოლვერი დაირტყა, ტყვია მარჯვენა საფეთქელში მოჰხვდა.

✦ ქალაქის ნავსადგურთან ტალღებმა ამოაგდო დამხრჩვალის გვამი. გვამი აღმოჩნდა ჩიშჩენკოსი, რომელიც 5 იანვრიდან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ჟურნალისტის დღიური

14.

სიმახინჯე ჩვენი ცხოვრებისა.

რუსულ ენაზე დაბეჭდილ ქართულ გაზეთების შესახებ არა ერთი და ორი წერილი დაბეჭდილა ჩვენს გაზეთში. ამიტომ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რანაირიც უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ამ საგანზე, კერძო პირთ რუსულ გაზეთის გამოცემას ვერ აუკრძალავთ. მაგრამ, როდესაც რუსულ გაზეთის გამოცემას საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა, როდესაც ჩვენი საცოდავი, მიყრუებული პროვინციაც ხმას აძლევს ამ აზრს და ლამის არის დახმარების ხელიც გაუწოდოს, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლიან ხმა არ აღვიმაღლოთ.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილი ახალ-ციხიდან. ახალციხელებს კრება გაუმართავთ და უთათბირნიათ იმის შესახებ, ჩაეწერონ თუ არა იმ ამხანაგობაში, რომელიც ტფილისში დაარსებულა და რომელსაც სახელად ეწოდება „ქართველი გამომცემელი ამხანაგობა“. მკითხველი ჩვენს განუმარტებლადაც ადვილად მიხვდება, რომ ეს სწორედ ის ამხანაგობაა, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისში დაარსდა და რომლის საფასურითაც დღეს „ზაკ. რეჩ“-ი გამოდის. ამხანაგობა ბევრნაირს მიზანს ისახავს, მაგრამ უმთავრესი კი ის არის, რომ იგი საჭიროდა სთვლის ერთ რუსულსა და ერთ ქართულ გაზეთის გამოცემას. რაღაც წარმოუდგენელ მიზეზებისა გამო „ქართველმა“ საზოგადოებამ „რუსული“ გაზეთის გამოცემით დაიწყო მოქმედება. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ მისი მოქმედება ამ საზღვრებს ვერ გადასცილდება. ქართული გაზეთის გამოცემა კერძო პირთა სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ მისი მტკიცე ნიადაგზე დაყენება და განვითარება

გაუსწორებელი დოგმატიკოსები

(დასასრული)

5.

ნ. ჟორდანიამ თავის წერილში „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ ერთი ფრიად საყურადღებო აზრი გამოსთქვა. სომხების საერთო ინტერესი მოითხოვდა საქართველოს დასუსტებასაო. მართალია ეს აზრი არამც თუ იმ დროინდელ საქართველოსთვის, რომლის ვითარებასაც ნ. ჟორდანია ეხება, მართალია ჩვენის დროისთვისაც. დღესაც საქართველოს დასუსტება სომხებისთვის საჭიროა. დღესაც საქართველოს დაცემა ხელს შეუწყობს სომხების გაძლიერებას, რადგანაც საქართველოს მოღონიერება სომხების დასუსტების მომასწავებელი იქნება. აი, სწორედ ეს არის ის უმთავრესი საფუძველი უთანხმოებისა, რომელზედაც შემდეგ წვრილმანი უთანხმოებანი შენდება.

სომხებს განსაზღვრული ტერიტორია არ უჭერიათ, ისინი გაფანტულნი არიან მთელ ამიერ-კავკასიაში. საქართველოს კი განსაზღვრული ტერიტორია აქვს. სომხების სისტემატიური ზრდა საქართველოს საზღვრებში მომასწავებელია თვით ქართველთა განდევნისა ამ საზღვრებიდან. თვითოეული ადლი მიწა, რომელსაც სომეხი იძენს საქართველოში, ერთმევა აუცილებლად ქართველს. რაც უფრო ბევრს მიწას შეიძენს საქართველოში სომხობა, იმდენად მეტი დაეკარგება ქართველობას. სომეხთა მიწების რაოდენობის ზრდა საქართველოში პირდაპირ პროპორციონალურია ქართველთა მიწების რაოდენობის შემცირებისა. ასეთსავე დამოკიდებულებაში არიან სომხები სხვა ერებთან კავკასიის სხვა კუთხეებშიაც.

სომხებს მთელ კავკასიაში არსად არა აქვთ ერთი ბინა, სამაგიეროდ ყველგან აქვთ მიზომილი ერთი კუთხე. ასეთი მდგომარეობა ჰბადებს მოქმედების სათანადო გეგმასაც. სომხები, ერთის მხრით, სცდილობენ ყველგან თავიანთი პატარა კუთხეები გააფართოვონ, გაზარდონ, მეორის მხრით, დაიცვან ისეთი წესწყობილება, რომელიც ამ ზრდას ხელს უწყობს. ასეთს წეს-წყობილებად კი მათ არსებული წეს-წყობილება, არსებული ძალთა განწყობილება მიაჩნიათ.

ის პირობები, რომელნიც დამყარდა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ, ძალიან უწყობს ხელს სომხობის გაძლიერებას. ამას ძალიან კარგად ხედავდნენ ძველი დროის სომხები, გაცილებით უკეთესად ხედავენ ამას ეხლანდელები. ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც საქართველოს კულტურულ წარმატებას ხელს შეუწყობენ, სომხობისთვის სასიკვდილო იქნება. ამას ძალიან კარგად ხედავენ, და აკი ამიტომ წინააღმდეგნიც არიან ამგვარ პირობების დამყარებისა. თვალი გადავავლოთ ისტორიას. შორს ნუ წავალთ. ნუ გამოვეკიდებით იმ დროს, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ბოლო ეღებოდა, და სომხებიც ხელს უწყობდნენ ამას. მოვიგონოთ უფრო მახლობელი ამბები.

1906 წელს იურიდიულ საზოგადოებაში წაკითხულ იქმნა რეფერატი: „სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობა კავკასიისათვის“. ამ კრებაზე აღიძრა საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ. სომხები წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს ავტონომიისა, ხოლო მხარს უჭერდნენ ამიერ-კავკასიის ავტონომიას. აქ ნათლად გამოსჭვივის სულის კვეთება სომხის ბურჟუაზიისა, რომელიც ვერას გზით ვერ ეგუება საქართველოს ხელ-საყრელ პირობებს არსებობისას. ამავე ტენდენციამ იჩინა თავი მაშინ, როდესაც კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინადადებით, გაიმართა თათბირი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. აქაც სომხის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს კავკასიის უმაღლეს მთავრობის აზრს ამიერ-კავკასიის საერთო საერობო ერთეულის შემოღების შესახებ. ქართველები კი წინ აღუდგნენ ამ აზრს. გამოჩნდა ფრიად საყურადღებო და სიმპტომატიური აზრთა სოლიდარობა სომხის ბურჟუაზიისა უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელთა შორის. ერთნაირად აზროვნობს სომხის ბურჟუაზია და რუსეთის მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი. საუბედუროდ, გარემოება ხელს არ გვიწყობს, თორემ უფრო ვრცლად შევეხებოდით აზრთა ამ სოლიდარობას, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეა და მისწრაფებანი სომხის ბურჟუაზიისა,—ეს ორი ისეთი ელემენტია, რომელნიც ერთნაირად არიან დაინტერესებულნი საქართველოს დასუსტებაში. აი აქედან წარმოსდგება ის აზრთა სოლიდარობა, რომელზედაც ზევით მოგახსენებდით.

ამავე ხასიათისა იყო ხატისოვის მოქმედებაც. ქართველებს უნდოდათ ქ. ტფილისი საერობო ერთეულში დაეტოვებინათ, ხატისოვს უნდოდა ეს დედა-ქალაქი საერობო ერთეულიდან გამოეგლიჯა და ქალაქიდან ცალკე საერობო ერთეული შექმნა. ამას ხატისოვი დემოკრატიულ ხასიათის მოსაზრებით ამართლებდა, ვითომდა მშრომელ ხალხის თვალ-საზრისით მსჯელობდა, გვაზავა კი გლეხ-კაცობის ინტერესებით ამართლებდა თავის მოსაზრებს. არსებითად კი კამათი ნაციონალურ ღერძზე ტრიალებდა. ხატისოვს უნდოდა ტფილისი ისევ ისეთნაირ, ინტერნაციონალურ ქალაქად დარჩენილიყო, რანაირიც ეხლაა, გვაზავას კი სურდა ტფილისი, ეს ცენტრი მთელ საქართველოსი უფრო მტკიცე კავშირით შეკრა მთელ გუბერნიასთან.

უფრო საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის სალათელიანის აზრი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ. სალათელიანი საყვედურს უცხადებდა იმ სომეხ დელეგატებს, რომელნიც საერობო თათბირს დაესწრნენ, თქვენ დაჰმალეთ და გადააფუჩეჩეთ ის უთანხმოება, რომელიც სომეხ-ქართველთა შორის არსებობსო. ამ უთანხმოების აღნიშვნა, როგორც ფაქტისა, კიდევ არავის ყურადღებას არ მიიქცევდა. სალათელიანმა გამოსთქვა ბევრი ისეთი აზრი, რომელიც ცხად-ჰყოფს სომხის ბურჟუაზიის სულის-კვეთებას. სალათელიანმა სთქვა, ქართველებისა და სომხების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ ერობა მართლა განხორციელდა, ტფილისის გუბერნია ხელიდან გამოგვეცლება, ქართველები ტფილისის გუბერნიის ყველა სომხებს გააქართველებენო. თავის ეროვნულ ინტერესების დაცვა არავის დანაშაულობად არ ჩაეთვლება; მაგრამ დეპ. სალათელიანი სომეხთა ეროვნულ ინტერესების დასაცველად ისეთს ზომებს ჰქადაგებს, რომელნიც ქართველთა ეროვნულ განვითარებას კი არა, უბრალო არსებობასაც კი ხელს უშლის. დეპ. სალათელიანის აზრით, სომეხთა ეროვნული ინტერესების დაცვა ქართველთა უბედურებაზე უნდა აგოს. უპირველეს ყოვლისა დეპ. სალათელიანს საჭიროდ მიაჩნია, რომ ქართველების წინააღმდეგ რუსები და სომხები შეერთდნენ. იგი თხოულობს, რომ საერობო არჩევნებში შემოღებულ იქმნას კურიალური სისტემა და რუსებისთვისა და სომხებისთვის დაწესდეს განსაკუთრებული კურიები. ჰქადაგებს სწორედ იმას, რასაც დღეს რუსეთის შავრაზმელები ჰქადაგებენ. ამის გარდა, დეპ. სალათელიანი მხარს უჭერს რუსეთის გადმოსახლების პოლიტიკას. იცის, რომ ეს პოლიტიკა ძირიან-ფესვიანად სპობს ქართველთა კეთილდღეობასაც, და მაინც მხარს უჭერს. მაგრამ დეპ. სალათელიანი მარტო არ დარჩა. მას მალე გამოესარჩლა ვიღაც მაგისტრანტი გაზეთ „ბაქო“-ში. სალათელიანის აზრს თავის თავად არავითარი ფასი არ ექნებოდა, იგი სომხის ბურჟუაზიის სულის-კვეთების გამომხატველი რომ არ იყოს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს სომხის ინტერნაციონალიტობას. ყოველთვის, როდესაც ქართველე-

მოვაგონებთ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, გაზეთის გზავნა ესპობათ.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

მრავალ პირობებთანაა დაკავშირებული.

გაზეთი ჩვენში ჯერ არ გადაქცეულა სავაჭრო დაწესებულებად. მტკიცე ნიადაგზე ჩვენში მხოლოდ ის გაზეთი სდგას, რომელსაც გარკვეული ფიზიონომია და განსაზღვრული ტრადიციები აქვს. ასეთი ქართულ გაზეთის გამოცემა კი შემთხვევით შემდგარ ჯგუფს ვერ შეუძლიან. ნუღარავინ ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი საქმე დიდ-ძალ ფულს მოითხოვს.

ამიტომ ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ახლად დაარსებული „ქართული გამომცემელი ამხანაგობა" მთელ თავის ქონებას, რომელიც არ შეიძლება ძალიან დიდად წარმოვიდგინოთ, რუსულ გაზეთის გამოცემას ჩააყრის. რასაკვირველია, ესეც იმათი პირადი საქმეა, ვინც ამხანაგობაში ჩაეწერება, მაგრამ, როდესაც პროვინციებშიაც ვრცელდება ასეთი აზრები, როდესაც პროვინციაც კი თითქოს თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის ასეთს ამხანაგობას დაეხმაროს, ჩვენ არ შეგვიძლიან ეს არ აღვნიშნოთ.

პროვინციაში ბევრი რამაა გასაკეთებელი, ბევრი იარა ღრღნის ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. უსაჭიროესი მოთხოვნილებანი პროვინციისა დაუკმაყოფილებელი რჩება, და ამისთანა პირობებში ათი თუმნების ჩაყრა საზოგადოებაში, რომლის ნაყოფიერებაც ძალიან საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს, ჩვენ და ნამდვილობად მიგვაჩნია...

შინაური.

ქუთაისის აქ-კარგი

ქუთაისის აქ-კარგზე რომ ლაპარაკობს კაცი, უნდა იგულისხმოს, რომ კარგზე არ იქნება ბაასი, მაგრამ დასაწყისისთვის ამ წერილს სასიამოვნო ამბებით დავიწყებ.

ქუთაისში არსებობს ყოველ-დღიური გაზეთი ქართულ ენაზე; ყოველ-დღიური ქართული გაზეთის საჭიროება დიდი ხანია აღიარებულია დასავლეთ საქართველოს დედა ქალაქში. მახსოვს 4—5 წლის წინად, თავად-აზნაურთა წრეებმა განიზრახეს ქართული გაზეთის გამოცემა; საქმის ინიციატორი ყოფილი ჟურნალისტი თ-დი დ. მიქელაძე იყო, რომელსაც მაშინ თავად-აზნაურთა და ბანკის მოღვაწენი „თავისიანებად" არ მიაჩნდა და ვფიქრობდით საქმეს საერთო სასარგებლოდ მოაწყობდა, მაგრამ ბ-ნმა მიქელაძემ ფართოდ მოინდომა გაზეთის საქმის მოწყობა, ამას დიდი თანხა ესაჭიროებოდა და რადგან თავად-აზნაურობისათვის დიდი ფულის გამოღება შეუძლებელი იყო, გაზეთზე ლაპარაკი მიყუჩდა.

ამის შემდეგ სხვა და სხვა სახელებით კვირეული გაზეთები გამოვიდა, მაგრამ ვერც ამათ მოიკიდეს ფეხი და შარშანდლამდის ასე მიმდინარეობდა საქმე.

შარშან ერთ მშვენიერ დღეს ქუთაისს მოევლინა ყოველ-დღიური ფურცელი რუსულ ენაზე. ყველას ეგონა, რომ ამნაირი გაზეთი ფეხს ვერ მოიკიდებდა აქ. სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. რუსული გაზეთის კითხვა ისეთმა კაცებმაც დაიწყეს, რომელთაც რუსულის კითხვა უჭირდებოდათ. განცხადების მოპოვება ქუთაისში ტფილისის გაზეთებში დასაბეჭდად თუ შეუძლებელი არა, მეტად ძნელი საქმე იყო და ქუთაისის უშინაარსო ფურცლისათვის მრავალი განცხადება აღმოჩნდა. შინაარსზე რა მოგახსენოთ-გაზეთი გადაიქცა მოუწიფებელი, ავტორების სავარჯიშო ასპარეზად.

მიმდინარე წლის დამლევს გაზეთი იმდენად ზურგ გამაგრებული გამოდგა, რომ გაფართოვდა, ტექსტში სააგენტოს დეპეშები ჩაირთო და შინაარსის მხრით მცირე რამ გაუმჯობესება დაეტყო; ამის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ გაზეთს დაუახლოვდნენ რამდენიმე ქართველი მოღვაწენი, რომელნიც დროგამოშვებით ანგარიშს უწევენ თავის პირად და საზოგადო მოწინააღმდეგეთ; ეს, რასაკვირველია, მათი საქმეა და ფაქტი-კი ფაქტად რჩება, რომ რუსული გაზეთი პარპაშობს ქუთაისში.

ამ გარემოებამ, თუ საზოგადოდ ყოველდღიური გაზეთის საჭიროებამ ქუთაისში, შეაერთა ქუთაისის ინტელიგენციის ერთი ნაწილი და ყოველ-დღიური ქართული გაზეთი დაარსდა.

გაზეთის მნიშვნელობის აღნუსხვას ქუთაისისათვის ჩვენ არ შევუდგებით. ეს თავის თავად ცხადია, და ამიტომ ის-ღა დაგვრჩენია, რომ ახლად დაწყებულ საკულტურო საქმეს დღეგრძელობა ვუსურვოთ.

* *

წარსულ კვირას დავესწარი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მოსწავლეთა ლიტერატურულ სალამოს. არა მარტო ამ სტრიქონების დამწერი, ყველა ვინც-კი დაესწრო ამ სალამოს, დიდად ნასიამოვნები დარჩა. გიმნაზიის ადმინისტრაციას და მოსწავლეთ ყოველი ღონე ეღონათ, რომ სალამო შინაარსიანი გამოსულიყო. შილერის „ავაზაკების" და გოგოლის „რევიზორის" თითო მოქმედება, ლექსების დეკლამაცია, მუსიკალური განყოფილება,-ყველა ეს მოსწავლეებმა ისეთი ხელოვნებით შეასრულეს, რომ დამსწრეთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. რამდენიმე მოსწავლემ წაგვიკითხა თავისი ლექსი; ერთ ამათგანს შემდეგ წერილში მოვათავსებთ.

რა-კი ლექსებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ლექსის წერა ახალგაზრდობაში მანიად არის გადაქცეული. აქაც, ქართულ გიმნაზიაში, სალამოს გამგეებმა ღიმილით მაუწყეს, რომ თავის ლექსის წაკითხვის მსურველთა რიცხვი იმდენი იყო, რომ ყველასათვის ნება მოგვეცა, დღევანდელი სალამო ხვალ სალამომდის გაგრძელდებოდა.

დიდი მადლობის ღირსია ქართული გიმნაზიის ადმინისტრაცია, რომელიც არაფერსა ზოგავს მისთვის, რომ სულისა და გონების საზდო მისცეს თავის მოსწავლეებს.

* *

რა-კი მოსწავლეებზე მიდგა საქმე, აღვნიშნავ ამათ ცხოვრებიდან ერთ ფაქტს.

ორი თუ სამი წელიწადია მას აქედ, რაც აქ დაარსდა კერძო სასწავლებელი სახელდობრ მკურნალ-ეზიკოვ-ქუთათელაძისა. მიზანი მისი დიაღ საპატიო იყო—თავშესაფარი მიეცა იმ ახალგაზდებისათვის, რომელთაც მათზე დამოუკიდებელი მიზეზით ადგილი ვერ მოიპოვეს ჩვენი ქალაქის სხვა საშუალო სასწავლებლებში. მართლა და მცირე ხნის განმავლობაში 400 მოსწავლემ მოიყარა აქ თავი. ამას იმან უფრო შეუწყო ხელი, რომ დაწესებულების გამგენი არწმუნებდნენ მოსწავლეებს, რომ როცა გიმნაზიის კლასები დასრულდება, მაშინ უკანასკნელ, მერვე კლასის მოსწავლეთ უფლება მიეცემათ სიმწიფის ატესტატზე ეგზამენი დაიჭირონ ისე, როგორც ეს ხდება ქართულ გიმნაზიაში.

იმედი სასწავლებლის გამგეებისა არ გამართლდა და უფროსის კლასის მოსწავლეებს ეგზამენის დაჭერის ნება მთავრობის მიერ დანიშნულ დეპუტატის თანადასწრებით ვერ მოხერხდა და წრეულს 20-დე ახალგაზდა, რომელთაც გიმნაზიის კურსი გავლილი ჰქონდათ, რიყეზე გარიყული დარჩა. განიზრახეს ადგილობრივ კლასიკურ გიმნაზიაში ექსტერნად ეგზამენის დაჭერა. მათ მიემატა ათამდე კერძოდ მომზადებული ახალგაზდა. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოსაგან რომ ცივი უარი მიიღეს, მაშინ ოლქის მზრუნველს მიმართეს; ამან კვლავ გიმნაზიის მთავრობაზე მიუთითა; უკანასკნელმა თავის გადაწყვეტილობა არ შესცვალა და ამნაირად 30 კაცი, უმეტეს ნაწილად შეუძლებელი, იძულებული შეიქნა ტფილისში წასულიყო საოლქო კომისიაში სიმწიფის ატესტატის მისაღებად.

თქმა ამისი ადვილია და საქმით კი ყველა ტფილისში წასული ახალგაზდა თითქმის ორი თვე უნდა დარჩეს, რაც გამოიწვევს ბევრთათვის აუტანელ ხარჯს და აიძულებს უარი სთქვას თავის განზრახვაზე.

რით ხელმძღვანელობდა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო, როცა უარს ეუბნებოდა ექსტერნებს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თუ მართალია ის ხმები რომ ვითომ უარის მიზეზი ზედ მეტი შრომის თავიდან აცილებაა, სწორედ გასაკიცხია ასეთი მოქმედება.

ი. ქ. ქ.

ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა ტფილისში

(წერილი ახალციხიდან)

27 მარტს სამხედრო საკრებულო დარბაზში მოხდა კრება მის. დ—ძე კვალიაშვილის ინიციატორობით და თავ. ივ. გ.-ძე ყარალაშვილის თავმჯდომარეობით „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა"-ში მონაწილეობის მისაღებად. კრებაზე 22 კაცი დაესწრო. კრებაზე წაკითხულ იქმნა ამხანაგობის პირობის პირი.

ამხანაგობის მიზანი, როგორც კულტურულად დასაწინაურებელი სიმპატიური ქართველთა საქმე, ყველას მოეწონა და დიდ საჭიროდაც სცნეს მისი არსებობა, მაგრამ ზოგიერთმა წრეს გადასულმა, არა მკვიდრმა და წევრთა უფლებების შემზღუდველმა მუხლებმა კი დიდი კამათი გამოიწვია დამსწრეთა შორის და მათი შეცვლა-შესწორება სასურველად სცნეს. ბევრმაც საძნელოდ სცნო ამხანაგობაში წევრად ჩაწერა იმის გამო, რომ 100 მ. იყო საწევრო ფული; თუმცა სურვილი ჰქონდათ ჩაწერილიყვნენ.

ბევრმა მუხლმა კამათი გამოიწვია დამსწრეთა შორის. სხვათა შორის ამბობდნენ, თუ ამხანაგობას ცუდად წაუვიდა საქმეები, წევრები პასუხს მგებლები მარტო თავის პაით კი არ იქნებიან, როგორც ეს წესდებაშია ნათქვამი, არამედ პირადის ქონებითაცა. 100 მანეთიც ზოგს ბევრი და სასურველად სცნეს, რომ საწევრო ფული ნაკლები ყოფილიყო. ბევრმა ისიც მოუხერხებლადა სცნო, რომ ამხანაგობის პირობა-წესდება მხოლოდ ნოტარიუსის წესითაა დამტკიცებული.

საბოლოოდ გადასაწყვეტად კრებამ თავისი სხდომა შემდეგისათვის გადასდო, ხოლო ინიციატორს ბ. კვალიაშვილს მიანდო, რომ მან წერილობით მიმართოს ამხანაგობას გამგეობას შენიშნულ მუხლების გამოსარკვევად და თან გაიგოს, თუ რამდენი წევრი ჰყავს ამხანაგობას.

კრებაზე ბევრს ემჩნევდა უნდობლობა ამისთანა ამხანაგობისადმი, რადგანაც დაშინებული არიან, ამისთანა ამხანაგობა ქართველთა შორის ბევრი დაარსდა, ვერც ერთმა ვერ იხეირა და განუტევა სული.

ჩემის აზრით, მაშინ გაძლიერდება ჩვენ შორის ამისთანა ამხანაგობები, როდესაც საწევრო ფული 10 და 20 მან. არ აღემატება და საქმეში ჩამდგარნი პირნი დიდი სიმხნით და ერთგულობით დააწინაურებენ საქმეს, დაანახვებენ ხალხს სარგებლობას და მათ ნდობასაც მოიპოვებენ. კრებაზე ერთმა დამსწრეთაგანმა სთქვა, 10 მან. რომ იყოს საწევრო შესატანი, კიდევ გავბედავდი ამხანაგობაში წევრად ჩაწერას, ამხანაგობა კიდეც რომ გაკოტრდეს, ვითომც არა მქონია ის 10 მან. 100 მანეთის დაკარგვა არ მეწყინება, არამედ მეტკინება.

მესხი ქ. გვარამაძე.

ღია წერილი ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს

(დორპატიდან).

თქვენ მიერ მოთავსებული მთელი რიგი წერილებისა „სახალხო გაზეთ"-ში „მეოთხმოციანნი და მეოთხმოცდა-ათიანნი", ფრიად საყურადღებო წერილებად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულმა ახალგაზრდობამ თითქმის სრულიად არ იცის ჩვენი ინტელიგენციის ისტორია; ბევრი მათგანი იცნობს რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას, იცნობს ნაროდნიკებს, იცის მათი „ხალხში სვლის" ამბები, იცის რუსეთის ჟურნალ-ალმანახების ფურცლებზე გამწვავებული კამათიც და სხვა და-სხვ.; მაგრამ ამავე დროს, მან, სამწუხაროდ, არ იცის—არსებობდა თუ არა ჩვენშიაც იდეური ბრძოლა ამ ხასიათისა, არ იცის, რა შეადგენდა ამა თუ იმ ეპოქის დამახასიათებელ თვისებებს, ვინ და რაგვარი დროშის ქვეშ გამოდიოდა სამშობლო ასპარეზზე, რამდენად ესა თუ ის საზოგადოებრივი მოძრაობა აღმოცენდა ჩვენი ცხოვრების ნამდვილ ნიადაგზე და რამდენად ესა თუ ის მოძრაობა უნიადაგოდ გადმოტანილი და გადმონერგილი და ნასესხები გვქონდა სხვა ერებიდან, თქვენი წერილები ამ მხრით მეტად საინტერესო მასალებს იძლევა და დარწმუნებულიცა ვართ, ჩვენი ახალგაზრდობა სიამოვნებით შეეგებებოდა მათ, როგორადაც მას შეეგება აქ ერთი ჯგუფი ახალგაზრდობისა.

შეიძლება ეს წერილები მცირე მასალას წარმოადგენდნენ ჩვენი ინტელიგენციის ისტორიის შესასწავლად (და ეს ასეც არის), შეიძლება მასში ბევრი დაუმთავრებელი და დაუმუშავებელი იყოს, მაგრამ ის მაინც დიდის ყურადღების ღირსია, რადგან, ვიმეორებთ, ამ დარგის ლიტერატურა ჩვენ ან სრულებით არ მოგვეპოვება, ან და ისე ცოტა, რომ მის შესახებ ლაპარაკიც კი არა ღირს.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენი ამ ხასიათის ნაშრომი უკანასკნელი არ იქნება და ამით, სხვებთან ერთად, საშუალებას მოგვცემთ ცოტათი მაინც შევისწავლოთ და ავწონ-დავწონოთ ჩვენი „მამები"-ს ნაშრომ-ნაღვაწი, გავიგოთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რითაც საშუალება მოგვეცემა არ გავიმეოროთ ძველი შეცდომები და ჩვენი ძალ-ღონე იქითკენ მივმართოთ, საცა ამას უფრო საჭიროებს ქართველი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა.

ეს წერილი უმთავრესად, წიგნის გამომცემელთა საყურადღებოდ იწერება; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ახლად გამოცემული წიგნი მაშინ იქნება საყურადღებო და საინტერესო, თუ კი წიგნის გამომცემელი მკითხველ საზოგადოებას მიაწოდებს იმ შინაარსის ნაწარმოებებს, რომელნიც უფრო ნათლად გამოხატავენ ჩვენ დღიურ ჭირ-ვარამს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი წერილების ცალკე წიგნაკად გამოშვება რომელიმე ამხანაგობის მიერ, საკმაო სიმპატიას მოიპოვებს მკითხველთა შორის, მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვართ, ბევრს არ ექნებოდა საშუალება გასცნობოდა ამ წერილებს „სახალხო გაზეთი"-ს ფურცლებზე, ხოლო თუ კი ვისმეს წაუკითხავს ეს წერილები, მისთვისაც საჭიროებას შეადგენს ამგვარი წიგნი; ყოველთვის ხელში ჰქონდეს.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ქართული წიგნის გამომცემელი ამხ. გულგრილად არ შეეგებება ამ ჩვენ საფუძვლიან წინადადებას.

ამავე დროს, არა ნაკლებ ვიმედოვნებთ, რომ თქვენც, როგორც ავტორი, კიდევ ბევრ რამე ახალს და საინტერესოს ჩაურთავთ ამ წერილებს, თუ კი მისი გამოცემა იკისრა რომელიმე ამხანაგობამ.*)

სხვაფრივ გისურვებთ კარგად ყოფილიყოთ და სხვა.

პატივისცემით: **ბაკე პაპავა, დათიკო იოსელიანი, დათიკო ულენტი, კობა ხოჭოლავა, ვ. იმნაძე**

სკოლის გარშემო

მთავრობამ განმარტა, რომ გიმნაზიის ექიმის შვილებს სწავლის ფულის მეათედს აპატიებენ.

გზათა მინისტრმა მიმდინარე წელს გააუქმა უფასო ბილეთები, რომელიც სავარჯიშოდ მიმომსვლელ სტუდენტებს ეძლეოდათ ხოლმე სახელმწიფო რკინის გზებზე.

განათლების სამინისტრომ საოსტატო ინსტიტუტის მოსწავლეს, რომელიც ავადმყოფობისაგამო იმავე კლასში დარჩა, სახელმწიფო სტიპენდია არ მოუსპო და სტიპენდიანტთა უწყებული სავალდებულო სამსახურის ვადაც არ გაუგრძელა.

განათლების სამინისტრო იმ საკითხს იმუშავებს, თუ სამინისტროს ცენტრალურ სამართველოდან რომელი საქმეები შეიძლება საბოლოოდ გადასაწყვეტად საოლქო სამოსწავლო სამმართველოთ, ხოლო ამ სამართველოდან კი სასწავლებელთა დირექციებს გარდაეცეთ. ოლქის მზრუნველებმა ამ საკითხის თაობაზე სამინისტროს 15 მაისამდე უნდა წარუდგინონ თავისი მოსაზრებანი.

უწმინდესმა სინოდმა განმარტა, რომ სასულიერო უწყების მეორე კლასიან სკოლათა შენობის ცეცხლისაგან დაზღვევა სავალდებულო არ არის, თუმცა მათი დაზღვევა შეიძლება, რასაც საეპარქიო მთავრობამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა.

მოწერილი ამბები

დ. ჭიათურა. ჭიათურაში ხმა დადის, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გადაუწყვეტია ჭიათურაში თეატრის დარბაზის აშენება, რადგან ის დარბაზი, რომელშიაც ეხლა წარმოდგენები იმართება, ძალიან პატარაა. ჭიათურის თეატრი, მართლაც, ძალიან პატარაა, და ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ ამ გადაწყვეტილებას არ გადაუხვევენ.—

ოცდა-შვიდ მარტს აქ მოხდა ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება. განსახილველი საგანი იყო: 1. მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 2. განხილვა და დამტკიცება საზოგადოების 1910 ანგარიშისა და 3. განხილვა და დამტკიცება ზოგიერთ წეს-რიგისა.

მ—ლი.

უცხოეთი

შარშან გამართეს ფრენა პარიზსა და ლონდონს და პარიზსა და ბრიუსელს შუა. წელს აპირებენ გამართონ ფრენა პარიზსა და მადრიდს და პარიზსა და რომს შუა. მაგრამ აპირებენ აკრედვე პარიზიდან ბერლინში გაფრენას და ბერლინიდან უკან დაბრუნებას. ამან ფრანგებში პროტესტი გამოიწვია.

პატრიოტული ლიგა ამაში, ღალატს თუ არა, ეროვნულ გრძნობის შებღალვას მაინცა ჰხედავს. ამათ ფურცლები გამოსცეს ამ სათაურით: "Tris Culeurs" („სამი ფერი). ფურცლებს ქუჩებში არიგებენ იმ აზრით, რომ საფრანგეთის საზოგადოება დაარწმუნონ ფრანგ ავიატორებს ყველგან შეუძლიანთ ფრენა გარდა ბერლინისა.

რათა? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფრანგებს ელზას-ლორენი უნდა ახსოვდეთ, და გერმანიის სპორტსმენული მეგობრობა არ უნდა გაუწიონ; მეორეც ისა, რომ საფრენი მანქანა სამხედრო იარაღია, იგი საფრანგეთშია განვითარებული და ფრანგ ავიატორებმა გერმანიის ავიატორების განვითარებას ხელი არ უნდა შეუწყონო: შემდეგ ფრანგებს უნდა ახსოვდეთ, თუ როგორი მტრულად მოექცნენ გერმანელები ფრანგ მფრინავებს, როდესაც ისინი შარშან გერმანიის საზღვრებზე გადაფრინდნენ.

ეს შარშანდელი ფრენა გაზ. „მატენმა" მოაწყო და საკვირველი არ არის, რომ მან ასეთს პროტესტსაც ხელი შეუწყო და მგონი რომ მთელი პროტესტიც მან მოაწყო. გაზეთსა ჰსურს, რომ მოქიშპეს ხელი შეუშალოს. ახლანდელ ფრენას გაზეთი „ჟურნალი" ჰმართავს. მას იმედი აქვს, ამ საქმით უფრო დიდ რეკლამას გაიკეთებს, ვიდრე შარშან „მატენმა" მოახერხა.

უნდა ითქვას, რომ ფრენის საქმე გაზეთების მეოხებით წავიდა წინ, სწორედ მათი ქიშპობით. „მატენმა" 100 ათასი ფრანკი გადასდო მფრინავთა დასასაჩუქრებლად; ეხლა „ჟურნალი" 250 ათას ფრანკს იძლევა. „Petit Parisien"-ი პარიზსა და მადრიდს შუა ფრენას აწყობს და 200 ათასი ფრანკი აქვს გადადებული. ლონდონელი გაზ. „Deitu Mell," რომელმაც შარშან ამ საქმისათვის 10 ათასი გირვანქა (250 ათასი ფრანკი) გადასდო, წელსაც ამდენსავე ჰხარჯავს პარიზიდან რომში გადაფრენისათვის.

დანარჩენი გაზეთებიც თუმცა ამდენს არა, მაგრამ მაინც ბლომა ფულსა ჰხარჯავენ ამ საქმეზე.

რუსეთი

უთანხმოება ოქტომბრისტთა ბანაკში. როძიანკოს თავმჯდომარედ არჩევამ ოქტომბრისტთა ბანაკში უთანხმოება შეიტანა. ალექსეენკოს უარის შემდეგ, ფრაქციის ბიურომ გუჩკოვის მეთაურობით აღარ სცნო საჭიროდ ოქტომბრისტებს თავმჯდომარის ალაგზე საკუთარი კანდიდატი წამოეყენათ. ფრაქციის მემარჯვენე ნაწილი ბიუროს არ დაეთანხმა და საჭიროდ სცნო თავმჯდომარის ალაგი ოქტომბრისტებს შერჩენოდათ, რისთვისაც როძიანკო გაიყვანა.

ამას შედეგად ბიუროდან ხუთი წევრის, სულ ათია, გამოსვლა მოჰყვა. ბიუროდან გავიდნენ: ნ. ა. ხომიაკოვი, ვ. კ. ანრეპი გ. გ. ლერხე, ს. ი. შიდლოვსკი, და თავ. ა. ლ. გალიცინი. უკანასკნელთ თავისი მოქმედება იმით დაასაბუთეს, რომ ფრაქციის უმრავლესობას საპროგრამო თუ ტაქტიკურ საკითხებში არ ეთანხმებიან, რის გამოც შეუძლებლად მიაჩნიათ პარტიის სათავეში ყოფნა.

როგორც სჩანს, პარტიის უმრავლესობას სტოლიპინთან მეგობრული კავშირი ჰსურს.

24 მარტს სათათბიროში სხდომის დახურვის წინ მემარცხენე ოქტომბრისტები შეკრიბნენ უთანხმოებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებას დაესწრნენ კამენსკი, ბარ. მეიენდორფი, გოდნევი, გლებოვი, თავ. გოლიცინი, ისკრიცკი, ლერხე, ანრეპი, ლეონოვი და დმიტრიუკოვი. ლეონოვი, გოდნევი და სხვები პარტიიდან გამოსვლას თხოულობდნენ.

ბი თავიანთ ეროვნულ ინტერესებზე დაიწყებენ ხოლმე ლაპარაკს, სომხები მაშინვე ნაციონალისტობასა და შოვინისტობას სწამებენ. სომხები ინტერნაციონალურ სამოსელში ეხვევიან ხოლმე, რადგანაც ეს ინტერნაციონალობა ამტკიცებს მათს ნაციონალობას. ამიტომაა, რომ სომხები მეტს სიმპატიას გრძნობენ ჩვენებურ „ინტერნაციონალისტებისადმი". ქართველთა ბეცი ინტერნაციონალიზმი ძალიან უწყობს ხელს სომხურ ნაციონალიზმის განვითარებას. ამაზე ერთხელ უკვე გვქონდა ლაპარაკი (იხ. „სახალხო გაზეთი"-ს მე-75, 76, 81, 82 და 90 ნომრების მეთაურები), და ამიტომ ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ.

ერთის სიტყვით, ჩვენს წინ იშლება გრძელი სურათი სომეხთა ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ერთგვარ მოქმედებისა. ეს ერთგვარი მოქმედება, როგორც უკვე ვსთქვით, მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ სომხებში ძალიანაა განვითარებული ინსტინქტი ეროვნულ თავის დაცვისა. ერთგვარი პირობები ჰქმნის ერთგვარ საშუალებებს თავის დაცვისას.

სომხები ყველგან, ხან ინსტინქტიურად, ხან ცხადად, ანვითარებენ თავიანთ ნაციონალისტურ პოლიტიკას. ეს რაიმე დროებითი მოვლენა კი არ არის, არამედ მთელი სისტემა მოქმედებისა, რომელიც შემდეგში უეჭველად უფრო განვითარდება, თუ წინ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზები არ გადაეღობა.

როგორ უნდა შევხედოთ ამ მოვლენას ჩვენ, ქართველებმა? ჩვენებური ინტერნაციონალისტები დღემდის მხოლოდ იმას გვეუბნებოდნენ, სომხების ნაციონალიზმს ჩვენ წინ უნდა დავუყენოთ ინტერნაციონალიზმიო. როდესაც სომხის ბურჟუაზია გასაოცარის სისწრაფით იზრდება, ხელიდან გვაცლის ქალაქებს და მალე სოფელს დაეპატრონება, შინ ჩვენ გვეუბნებიან ამ სომხის ბურჟუაზიასთან სოლიდარობა უნდა დავამყაროთო.

ყველა იმის შემდეგ, რაც ზევით ითქვა, მე მგონია, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ სომხებთან სოლიდარობა, ეს იქნებოდა სოლიდარობა სომხის ბურჟუაზიასთან, რომელმაც საქართველოს მიწა-წყალზე მოიკალათა და შექმნა თავისი ეროვნული ვინაობა. სომხობა საქართველოს ტერიტორიაზე იზრდება, მდიდრდება და ჰქმნის **თავის** ეროვნულ ვინაობას. ეს ანორმალური მოვლენაა, და ქართველებიც გულ-გრილი მოწმენი ვერ გახდებიან ამ ანორმალურ პროცესისა. შეიძლება ეხლაც გამოჩნდნენ ისეთები, რომელნიც ამ პროცესს გაამართლებენ, ჩვენ კი ამ წერილებს ნოე ჟორდანიას სიტყვებით დავამთავრებთ: „ყველა ერი თავის ინტერესებს იცავს და ვაი იმ ერს, რომელსაც თავისი ინტერესები ვერ შეუგნია"!

არ. ჯ—შვილი.

---

*) არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველი წიგნი უკვე დაიბეჭდა და დარიგდა [illegible]. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, განზრახულია მეორე წიგნის დაბეჭდვაც, რომელშიაც, სხვათა შორის, ზემოხსენებული წერილებიც შევა. **რედაქცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამენსკი და ლერხე შეუძლებლად სცნობდნენ ამ გამწვავებულ მომენტის დროს ფრაქციიდან გამოსვლას და შემოდგომამდე მოცდას ამჯობინებდნენ, იმ იმედით, რომ თავიანთ ტაქტიკით ამომრჩეველთა თანაგრძნობას დაიმსახურებდნენ და მემარცხენე ოქტომბრისტების რიცხვი გაძლიერდებოდა. კრება გადაწყვეტილს გზას ვერ დაადგა. ხმები დადის, უფრო პრინციპიალური ოქტომბრისტები ფრაქციიდან გამოვლენო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი.

საზღვარ-გარედ.

პარიზი. გაფიცულ მევენახეთა მოთხოვნაზე სენატში საკითხი აღიძრა. დეპუტატებმა იმედი იქონიეს, რომ მთავრობა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. მინისტრმა განაცხადა, საკითხი სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა განსახილველადაო. ამან კულუარებში მღელვარება გამოიწვია.

რეიმსი. მოვიდა თუ არა ამბავი, რომ მევენახეთა საკითხს საბჭოს გადასცემენო, მარნის ხეობაში 2000 მევენახე შეიკრიბა, მჭიდროდ დადგა დი ოტვილსა და დიზისაკენ გაემართა, $9^1/_2$ საათზე მევენახენი წითელი ბაირაღებით დიზიში შევიდნენ. შამპანიურ ღვინის საწყობი გასტეხეს, 230.000 ბოთლი დაამტვრიეს და საწყობის კანტორა გასცარცვეს. შემდეგ საწყობები სამ ბარიკადად აქციეს და წნის ბოჭკებს ცეცხლი წაუკიდეს. მცხოვრებლებმა ცეცხლი ჩააქრეს. ასეთივე ამბავი მოხდა დამერიში. ქუჩებში ჯარი დგას.

დიზისა, ვანტელის და პოვილიეს მიდამოებში ბრბო შუბებით შეიარაღდა. წითელ ბაირაღებითა და სარევოლიუციო სიმღერებით ბრბო აის მიდამოებისაკენ გაემართა. აქ მას სალდათთა ორი ესკადრონი დახვდა. თუმცა ქუჩებში ბარიკადები იყო გამართული, მაგრამ მევენახეებმა ვენახებს შემოუარეს და ქალაქში შემოვიდნენ.

დრაგუნებმა ბრბოს დაფანტვა სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბევრი ცხენებს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა. ეხლა მევენახენი ეპერნეში აპირებენ წასვლას. ხვალ მევენახეთა ყველა სოფელში ჯარები ჩაეგებიან. ყოველნაირი კრილობანი აღკრძალულია. დემერსა და ეპერნეში გაცარცულ სახლებს ჟანდარმერია ჰყარაულობს. დამერის რატუშაზე წითელი ბაირაღი ფრიალებს. ღამე ვატელე დააქციეს (?). დავილნში, დილით მევენახეები შუშხუნებით დაიბარეს. როცა რამდენიმე ათასი კაცი შეგროვდა, ყველანი ეპერნესაკენ გაემართნენ.

ეპერნე. მღელვარება უმაღლეს წერტილამდის მივიდა.

ჯიბუთი. ალისაბებიდან იტყობინებიან, რომ ხალხმა რეგენტ რასტამის სიკვდილისა ჯერ არაფერი იცისო. ზომებია მიღებული, რომ უწესოება არ მოხდეს.

პეკინი. დღეს რუსთა მისიაში დიდი სადილია, მოწვეულნი არიან ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლები, სამხედრო მინისტრი და იაპონიის მთელი მისია მოწვეული. ხმები, ვითომც რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება არ მოსპობილაო, ტყუილია. პეკინელი ოფიციოზი პრიამურის მხარეში რუსების მოქმედებასა ჰკიცხავს.

რუსეთი

ვარშავა. საოლქო სასამართლო დარწმუნდა, რომ გრაფი რონიკერი, რომელიც სასამართლოში თავის ნათესავის პროჟბნოვსკის მოკვლისთვის იყო მიცემული, თავს იგიჟიანებს.

პეტერბურგი. გამოაქვეყნეს ავტორის უფლებათა ახალი კანონი.

ხარბინი. სანიტარულ საშუალებათა გამოსძებნის დროს რუსებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ ჩინელებისათვის ნ დიდი კარანტინი დავაწესოთო, ჩინეთის წარმომადგენლება პროტესტი განაცხადეს. თუ რუსები არ დასთანხმდებიან, მაშინ ჩინელები ასეთსავე კარანტინს მოითხოვენ რუსის გემებისათვის, რომელნიც ამურიდან სუნგარში მოდიან.

პეტერბურგი. 1911 წ. 1 სექტემბრიდან კოსტრომასა, ომსკსა და ნოვო-ჩერკასკში მიწის-მზომელთა სასწავლებლები გაიხსნება.

წერილი რედ. მიმართ

წერილი ლევან ყიფიანის მიმართ.

ბ-ნო ლევან! ამ ერთის კვირის განმავლობაში სხვა და სხვა ადგილობრივს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ ამ სამის თვის წინად სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ქართულის ენის მასწავლებლად დანიშნულმა ბ-ნმა ს. კაკაბაძემ სამსახურს თავი დაანება და ამის მიზეზად ასახელებს ერთის მასწავლებლის აგიტაციას მოწაფეთა შორის მის წინააღმდეგ. აგიტატორ-მასწავლებლის ვინაობა ზოგს გაზეთში სრულებით არ იყო მოხსენებული; ზოგში მარტო გვარის ინიციალით იყო აღნიშნული. ამ ცნობის ასეთის სახით გამოქვეყნებას მოჰყვა თქვენი წერილი „Листокъ-копейка"-ს დღევანდელს ნომერში, სახელად—**Специалистофобія**, რომელშიაც ბ-ნის კაკაბაძის ქართულის გიმნაზიიდან წასვლის მიზეზად თქვენ სრულის დაჯერებით სთვლით ამ გიმნაზიის მასწავლებლის დ. კ—ის ინტრიგას და კიდევაც ხსნით რა ნიადაგზედაც არის ვითომ დაბადებული ეს ინტრიგა. ბ-ნი კაკაბაძე, თქვენის თქმით, არის სპეციალისტი და რადგან ხსენებულს გიმნაზიაში, თქვენისავე თქმით, სპეციალისტებისა ძალიან შიშიათ, დილეტანტს დ. კ—ს თავის კომპანიის ლოცვა-კურთხევით დაუწყვია მოწაფეებში აგიტაცია ბ-ნის კაკაბაძის სახელის გასატეხად; ეს ვერ აუტანია სპეციალისტს კაკაბაძეს, დ. კ—ისგან შექმნილს ატმოსფერას სული შეუხუთნია მისთვის და სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეუტანია. ასეთია თქვენი განმარტება.

თქვენგან ინიციალებით აღნიშნული მასწავლებელი გახლავარ მე, ქვემორე ხელის მომწერელი, და ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ თქვენის წერილის გამო.

ვიდრე გაზეთებში იბეჭდებოდა მხოლოდ უბრალო ცნობა ბ-ნის კაკაბაძის სამსახურიდან გასვლის შესახებ უცნაური და საგანგებოდ მოქორილის გარემოების მომიზეზება, ხმის ამოღება საჭიროდ არ მიმაჩნდა, რადგან ცნობა ნამდვილი იყო. მაგრამ როდესაც თქვენი წერილი წავიკითხე და დავინახე, რომ ბ-ნი კაკაბაძე მიგიღიათ თქვენს საფარველს ქვეშე და მისგან დასახელებული მიზეზი სარწმუნოდ აღიგიარებიათ, არ შემიძლიან გავჩუმდე და, როგორც თქვენ საყურადღებოდ, ისე მკითხველთა საგულისხმოთ, არ მოგახსენოთ, რომ კაკაბაძის მიერ ნათქვამი ჩემ შესახებ არის **მტკნარი სიცრუე და ბოროტი ცილის-წამება.**

მე მაკვირვებს, ბ-ნო ლევან, ის ამბავი, რომ აგრე სარწმუნოდ მიგიღიათ ბ-ნის კაკაბაძის ნათქვამი და შეუმოწმებლად, საქმის გამოუძიებლად საზიზღარი ბრალდება დამტკიცებულად გიცვნიათ. სწორედ მოგახსენოთ, თქვენგან არ მოველოდი ასეთს უსამართლობას, რადგან თვითონ თქვენს თავზე გაქვთ გამოცდილი, თუ რა საძაგლობაა, როდესაც საქმის გამოუძიებლად კაცს დამნაშავედ სთვლიან პატიოსნების წინააღმდეგს საქციელში. მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ თქვენ ჩემთან არავითარი საპირადო ანგარიში არა გაქვთ რა და მჯერა, რომ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდით მხოლოდ საზოგადოებრივის ინტერესით, ამიტომ გთხოვთ მომექცეთ მეც ისე, როგორც მოსამართლე და პუბლიცისტი მოვალეა მოექცეს ყოველს ბრალდებულს. შეხედეთ კრიტიკულად ბრალდებას, მოსთხოვეთ ბრალმდებელს ნამდვილი საბუთები და გამოიძიეთ საქმე მიუდგომლად. ნუ დამივიწყებთ მეც, როგორც ბრალდებულს. მეც მკითხეთ რამე გარემოების შესახებ და მხოლოდ შემდეგ აღიმაღლეთ თქვენი ავტორიტეტიანი ხმა და ამხილეთ ქვეყანას, თუ ვინ ყოფილა ინტრიგანი და აგიტატორი: ის, ვისკენაც მიგითითეს, თუ ის, ვინც მიგითითათ.

თქვენის შეუბრალებელის სამართლიანობისთვის მომინდვია ჩემი თავი. ჩემი ადრესი: „წყნეთის ქ., № 30.

დ. კარიჭაშვილი.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ყველას, ვინც შემოწირულებით თუ პირადის შრომით მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საღამოში, რომელიც გამართული იყო მარტის 21 არტისტიულ საზოგადოების თეატრში და დარბაზში. საღამოს წმინდა შემოსავალი 532 მ. და 57 კ. გადაეცა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლებისათვის.

არ შეგვიძლია განსაკუთრებითი მადლობით არ აღვნიშნოთ შრომა ბ ნ ა. გ. ქართველიშვილისა, ს. ა. გამრეკელისა, თავ. ლ. ლ. მაღალაშვილისა და სიმღერის მოყვარულთა გუნდში მონაწილეებისა, რომლებმაც ხალისიანად შესთავაზეს საზოგადოებას თავიანთი დახმარება.

საღამოს გამგენი.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი პატივცემულ „სახალხო გაზეთის" № 240 მოთავსებულია ბ. „მაკოშვილის" წერილი, რომელშიაც ამტყუნებს „კუტაის. ჟიზნ"-ს № 4-რში მოთავსებულ წერილის ავტორს ბ. „სვეტოჩს" და კვათანის საქალებო სკოლის მასწავლებელთაგანს, რომლის წერილიც „სახალხო გაზეთის" № 227-ში დაიბეჭდა; სხვათა შორის, იწვევს პირველ განყოფილების მასწავლებელ ქალსა და სთხოვს, იქონიოს გაბედულება და დაამტკიცოს ბ. მაკოშვილის ცნობა ამავე სკოლის პირველ განყოფილებაში რუსულ ენის სწავლების შესახებ. ხსენებულ განყოფილების მასწავლებელი მე ვარ, და ამიტომ ბ-ნ მაკოშვილს მოვახსენებ: პირველ განყოფილების მოწაფეებს ვასწავლიდი 1910 წლის ენკენისთვიდან ღვინობისთვის 21-დის; პროგრამის გარეშე არც ერთი სიტყვა არ გამივლია. მხოლოდ 24 ღვინობისთვიდან, ავადმყოფობის გამო დროებით სამსახურს თავი დავანებე. იმავე წლის 27 ნოემბრამდე ჩემს მაგივრად, მთავრობის მიერ დანიშნულ იქმნა დროებით მასწავლებელი, რომელსაც გაევლო რამდენიმე ნაწილი ლექსიკური განყოფილებისა. როდესაც მე დავბრუნდი, 27 ნოემბერს, გავლილი მასალა ჩაწერილი დამხვდა სასკოლო ჟურნალში.

რაც შეეხება ჟურნალის ფურცლების ამოხევას, საქმე ასე იყო: საშობაოდ დავბრუნდი მშობლებთან, ჟურნალი კი შკაფში დავტოვე დაკეტილი; შკაფის გასაღები ჰქონდა სკოლის ზედამხედველს; როცა დავბრუნდი, ჟურნალის ის ნაწილი, სადაც გავლილი რუსული გაკვეთილების მასალა იყო ჩაწერილი, ამოხეული დამხვდა (ვისი მოქმედებით მოხდა, არ ვიცი), მას შემდეგ ჟურნალს ბინაზე ვატარებ.

P. S. გამბედაობა სრულ ნებას მაძლევს წინადადება მივცე ბ. მაკოშვილს, რომ უკეთუ ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა, გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში, სადაც ზემო ნათქვამის სიმართლეს დავუმტკიცებ.

პირველ განყოფ. მასწავლებელი.

ჩვენი ფოსტა

სოხუმი. ბ-ნ ჰამუთ-ბეის. გთხოვთ თქვენი ადრესი შეგვატყობინოთ.

კვათანი. ქალების სკოლის მასწავლებელს. თქვენი წერილი იბეჭდება. თუ გინდათ გაიგოთ, რატომ აქამდის არ დაიბეჭდა რედაქციამ თქვენი წერილი, ადრესი შეგვატყობინეთ. თქვენ მეორე წერილში ადრესი არ არის ნაჩვენები.

გამოსადეგი ცნობა

სახელმწიფო ბანკის სარგებლიან ქაღალდების ფასი

30 მარტი, 1911 წ.

I ხარისხ. მომგ. ბილეთი	480 მ.	— კ.
II ხარ. მოგ. ბილეთი	378 „	— „
გირაო, მომგებ. ლ. ს. სათ.-აზნ. ბანკისა	338 „	— „
4% სახელმწ. რენტა	94 „	75 „
5% გირავ. ფურც. სახელმწ. სათ.-აზნ. ბანკისა	100 „	$12^1/_2$ „
$4^1/_2$% გირ. ფურც. სახელმწ.	95 „	25 „
4% გირ. ფურც. სახელმწიფ. სათ.-აზნ. ბანკისა	90 „	$87^1/_2$ „
$3^1/_2$% გირ. ფურც. სახელმ. სათ.-აზნ. ბანკისა	85 „	$87^1/_2$ „
5% მოწმობა გლეხ. სადგ.-მამულთ ბანკისა	100 „	75 „
$4^1/_2$% მოწმ. გლეხ. სადგ.-მამულთ ბანკისა	96 „	25 „
4% მოწმ. გლეხ. სადგილ.-მამულთ ბანკისა	91 „	25 „
5% შინაგან. სესხი 1905 წ. პირველი	104 „	25 „
5% შინაგ. სესხი 1905 წ., მეორე	104 „	25 „
5% გარეშ. სესხი 1906 წ.	103 „	$87^1/_2$ „
5% გარეშ. სესხი 1908 წ.	104 „	25 „
ტფ. სათ.-აზნ. ბანკის უძრავ ქონებ. საგ. ქაღალდ.	87 „	25 „

მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ტფილისის საათზეა ნავარაუდევი)

ტფილისიდან გადიან:

ბათუმისკენ: სახალხო მატ. N 5, დილ. 8 ს. 10 წ., გორში ჩადის 11 ს., მიხაილოვში 12 ს. 33 წ. დღისით.; რიონში—4 ს. 43 წ. დღე.; ბათუმში—ჩავა საღ. 9 ს. 20 წ. საფოსტო N 3,—ნაშუადღ. 2 ს. 9 წ., გორში ჩადის 4 ს. 57 წ. ნასადილ.; მიხაილოვში—6 ს. 18 წ. საღ.; რიონში—10 ს. 59 წ. საღ.; ბათუმში ჩად.—4 ს. 28 წ. მეორე დილ. სახალხო მატ. N 7, საღამ. 11 ს. 53 წ., გორში ჩადის ღამ. 2 ს. 29 წ. მიხაილოვში—ღამ. 3 ს. 53 წ., რიონში მეორე დღეს დილით—8 ს. 33 წ., ბათუმში ჩადის დღისით 1 ს. 26 წ.

შერეული მატარ. N 107, მე-4 კლასით—ღამის 1 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 3 ს. 51 წ., მიხაილოვში—მეორე დღეს დილით 6 ს. 51 წ., ბათუმში ჩადის—საღ. 8 ს. 33 წ.

ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 9 ს. 28 წ., ბაქოში ჩადის საღამოს 11 ს. 26 წ. **სახალხო მატ.** N 6, ნასადილევ. 3 ს. 35 წ გადის. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დილ. 9 ს. 7 წ. **საფოსტო მატ.** N 4, გადის საღ. 10 ს. 25 წ., ბაქოში ჩადის მეორე დღეს ნაშუადღ. 5 ს. 21 წ.

შერეული, N 106, მე-4 კლასით, გადის დილ. 4 ს. 18 წ., ბაქოში ჩად. საღ. 5 ს. 21 წუთზე.

ბორჯომისკენ: სახალხო N 9—66, ნაშუადღ. 3 ს. 28 წ., ბორჯომში ჩადის საღამ. 9 ს. 8 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო მატ. N 74—75, შუაღამ. 12 ს. 41 წ. გადის. ჯულფაში ჩადის მეორე დღეს. ღამის 1 ს. 5 წ.; ნარევი მატ. მე-4 კლასით დილ. 5 ს. 48 წ.

ერევნისკენ: სახალ. მატ. N 78—79, გადის ნაშუადღ., 4 ს. 33 წ.

ტფილისში მოდიან:

ბაქოდან: N 6, სწრაფი საღ. 10 ს. 55 წ. სახალ. N 5, დილ. 7 ს. 25 წ. N 3, საფოსტო ნაშუადღ. 1 ს. 9 წ., N 107, ნარევი მე-4 კლასით—შუაღდ. 12 ს. 1 წ.

ბათუმიდან: სახალხო N 6, ნაშუადღ. 2 ს. 46 წ., საფოსტო N 4, საღ. 9 ს. 25 წ. სახალხო N 8, დილ, 8 ს. 45 წ. ნარევი N 106, მე-4 კლასით, ღამ. 3 ს. 16 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილით ს. 36 წ.

ერევნიდან: სახალხ-საქონ. N 80—81, საღ. 7 ს. 1 წ. ნარევი N 110—111 მე-4 კლასით საღ. 10 საათზე.

ბორჯომიდან: სახალხო N 61—10, დილით 7 ს. 35 წ.

შენიშვნა; ნარევი მატარებელის მე-4 კლასის ვაგონებს NN 106, 107, 108, 109, 110 და 111 საჭიროებისა-დაგვარად მიაბამენ ხოლმე მატარებელს.

მეტეხის ციხეში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება:

ხუთშაბათობით — ციხე-მისჯილთა (Крепостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

კვირაობით—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. და арестант. отд). და ყველა მათი, რომელნიც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

ყოველ თვის 20 რიცხვში (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიჰმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

ყოველ კვირა-ხუთშაბათს შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რაიმე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამორთმევა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რაშიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი. რომელზედაც ეწერება სია გადასაცემისა და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

შეიძლება გადაცემა აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდაწინ ბრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.

აღდგომისა და შობის დღესასწაულებში ნახვისათვის ცალკე დღე ინიშნება, რომელსაც დღესასწაულის წინა დღეებში აცხადებენ

ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (მეტეხის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი— ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიდეში).

კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ სათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღნინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეჯტაბიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგაბაროვი: $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ. ნ. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. გ. გევახჯიან-ენგელი: 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტაციურად
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1168—7)

„სამსონინი"
თმებისათვის
საპონი ექ. დიდიძისა
ისყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).
(წლ.—1152—9)

მუხრანის [illegible]
სამკურნალო
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул. 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—55)

ისარგებლეთ
შემთხვევით
საბურთალოსა და კადეტთა კორპუსის დაწყებულ შენობის მახლობლად იყიდება ადგილები ნაწილობით ოთხკუთხი საჟენი 25 კ.—60 კაპეიკამდე; ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილ, ერთის წლის ვადით. იკითხეთ წიგნის მაღაზიაში «ახალი სიტყვა» („Новая рѣчь"), გოლოვინის პროსპექტი, სახაზინო თეატრის პირდაპირ.
(3—540—1)

კავკასიური ბუნებრივი
კონიაკი „არარატი"
ღირსებით კონკურენციის გარეშე
იყიდება საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.
დასაკვეთად პირდაპირ ერევანში მიჰმართეთ პატრონს
ს. პ. ედიგაროვს,
ან ტფილისში ბ. მულიარსკის.
(10—1207—1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მაღაზიას ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ.—1053—)
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

მადათოვის კუნძული სტამბა „ხორაპანი"
რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.